ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№ 16 ნიუ-იორკი. მაისი 1957 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, MAY 1957

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე.“

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

26 მაისი*)

ყველა ერის ცხოვრებაში არსებობს მისი ისტორიული განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის თარიღები. ასეთ თარიღთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ერის თავისუფალ სახელმწიფოდ თვითდადგენის დღეს. როგორც ცალკე ადამიანებს ახსოვთ საკუთარი დაბადების დღე და წელი, ასევე ერები და სახელმწიფოები იხსომებენ და იგონებენ ხოლმე თავიანთი თავისუფალ სახელმწიფოდ დაბადების დღეს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც იცით, ამას წინათ თავისი დამოუკიდებლობის 175 წელი გადაიხადა. ჩვენ, ქართველები 32-ჯერ ვდღესასწაულობთ 26 მაისს. აქედან მხოლოდ ორჯერ საქართველოში და 30-ჯერ საზღვარ გარედ. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ 30 წლის ისტორია აქვს — 1918 წელს მოხდა ძველი. უკვე 3000 წლის მანძილზე არსებული და მე-19-ე საუკუნის დასაწყისში გაუქმებული სახელმწიფოს კვლავ გაცოცხლება, კვლავ აღდგენა. როდის და სად შეიქმნა პირველი ქართული სახელმწიფო? იმ ტერიტორიაზე სადაც დღესაც ვცხოვრობთ, ე. ი. ამიერკავკასიაში, თუ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტიგრისა და ეფრატის ჩასართავთან?

ეს საკითხი დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის. ცნობილია მხოლოდ, რომ ქართველთა წინაპარი ტომები პოლიტიკურ ასპარეზზე სჩანან ქრისტეს წინ მე-15 საუკუნიდან: მოსკები, კასკები და ტაბალები, რომლებიც უფრო გვიან მესხებად, კოლხებად და იბერებად იწოდებიან, ძლევამოსილ ბრძოლებს აწარმოებენ ასურეთის იმპერიის წინააღმდეგ. ამ დღეიდან მოყოლებული ქართველ ტომებს საკუთარი ეროვნული კულტურა უჩენიათ და სახელმწიფოებრივი ცხოვრება უწარმოებიათ.

უცხოელ ისტორიკოსთა შეფასებით ადრინდელი კულტურის შექმნაში ქართველ ტომებს დიდი დაძაბურება მიუძღვით. მაგალითად ოქიხისა და ფოლადის დაძუმავების გამომგონებლებად ასურთ-ბაბილონსა და ძველ საბერძნეთში ქართველ ტომებს სთვლიდხეხ. ბიბლიის პირველი წიგნის დამწერი დარწმუნებულია, რომ საერთოდ ლითონების დამუშავება და მჭედლობა ტაბალის მოგონილი ხელობაა: „ტაბალი იყო კვერით ხეროი, მჭედელი რკინისა და რვალისაო.“ ამ ცნობას დასტურებს ეზეკიელიც „ტვიროსის გოდებაში“, სადაც ნათქვამია: „ტაბალი და მოსოხ ვაჭრობდენ შენ შორის და ჭურჭელი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდაო“. ქართველ ტომებს აწერენ აგრეთვე ცხენის ჯიშის გადაჯვარედინებას დაწყებას და ყურძნის წვენის დაყენების, ე. ი. ღვინის გამოგონებასაც. სახელმწიფოებრივი ცხოვრებაც მათ დაწინაურებული ჰქონიათ: სალმანასარ მეორის ცნობით (859-825) ქართველი ტომების 24 სამეფოს ურთიერთშორის სამხედრო კავშირი ჰქონიათ დადებული საგარეო საფრთხის დროს თავდაცვაზედ. მაგრამ ზავის დროს ერთიმეორის საშინაო პოლიტიკაში არ ერეოდნენ. — აქ საქმე გვაქვს კონფედერატიულ სახელმწიფოს აღრინდელ ფორმასთან.

იმ ადგილებიდან ამიერ-კავკასიისაკენ გადასახლება ქართველ ტომებს ქრისტეს წინ მე-15 საუკუნეზე ადრე უნდა დაეწყოთ. ამას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ ბერძნულიდან მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილ „არგონავტების მოგზაურობის“ დროს, დღევანდელი საქართველოს დასავლეთი ნაწილი კოლხიდა იაზონსა და მის თანამგზავრებს უკვე ჩამოყალიბებულ, კეთილმოწყობილ სახელმწიფოდ ხვდება — ეს იყო მე-15 საუკუნეში.

მე-8-7-ე საუკუნეებში ქართველი ტომების გადმოსახლება სრულდება. იქიდანვე უნდა მოიტანათ ქართველებს თავიანთი ანბანი, რომელიც არა ჰგავს არც ბერძნულს, არც სირიულს, არც სომხურს და არც ლათინურს.

მე-4-ე საუკუნიდან ქართველების შესახებ საკმაოდ ვრცელი ცნობებია დაცული ბერძნულ (იონურ) პოეზიასა და აღწერებში. იმ ხანაში საქართველო, ე. ი. ტერიტორია რომელიც ქართველ ტომებს უჭირავთ — კეთილმოწყობილი, ადმინისტრატიულად მოწესრიგებული მდიდარი ქვეყანაა, რომელიც გაცხოველებულ ვაჭრობას ეწევა გარეშე ქვეყნებთან. მე-6-5-ე საუკუნეებში იქ ხმარებაში ყოფილა როგორც უცხოეთის ისე ადგილობრივი ფულიც — არსებობს მეხუთე საუკუნის ქართული ფულის ნიმუშიც, რომელსაც ჩვენს დროში, სპეციალისტები „კოლხდიურს“ ეძახიან. ქართველებს ეხება ცნობილი ბერძენი დრამატიკოსი და პოეტი **ევრიპიდ** (მე-5-ე ს.) თავის ბაქანტეს ნაწარმოებ „მიჯაჭვულ პრომეთეში.“ საინტერესოა, რომ ამ ნაწარმოებში ქართველი ქალი მეომრათაა გამოყვანილი: „კოლხიდის ქალწულნი ბრძოლებში გამობრძმედილნო.“

ისტორიის მამას, ჰეროდოტეს (500-424 წ.) ქართველების შესახებ დაწერილებით ცნობები აქვს მოცემული. მისი აღწერით შავი ზღვიდან სამხრეთით სპარსეთის ყურემდე მთელი ტერიტორია 4 ხალხსა სჭერია, რომელთაგან 2 ქართული ტომისა ყოფილა: „სპარსელები ცხოვრობენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე (სპარსეთის ყურე), მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები; მიდიელების ზემოდ სასპირები; სასპირების ზემოდ კოლხები ვიდრე ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზონი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდეო.“ ჩვენ უკვე ვიცით ვინ იყვნენ კოლხები, მაგრამ ვინ არიან ეს სასპეირები? რომაელი მწერალი და მეცნიერი ტეფანე ბიზანტიელი თავის ლექსიკონში ნატყვა „სასპეირების“ განმარტებაში ამბობს: „სასპეირები ხალხია პონტოს მხარეში, რომელნიც ამ ეამად სასპეირებად იწოდებიანო.“ მაშასადამე დროთა მსვლელობაში სასპეირი სახელად გადაუკეთებიათ, ხოლო შემდეგ განვითარება ყოფილა სასპეირიო და აქედან მოდის იბერი, იბერია-ივერია. თანამედროვე ჩვენი მეცნიერები ს. ჯანაშია და მელქისედეგ ლეონი ფიქრობენ, რომ ეს სახელი წარმოსდგება სპერი ანუ ისპირის სახელწოდებიდან. რაც როგორც მოგეხსენებათ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ერთი კუთხისა და მდინარის სახელწოდებაა.

ამრიგად, ჰეროდოტეს მიერ აღწერილი მხარეში სპარსელებისა და მიდიელების გარდა მხოლოდ კოლხები და იბერები არიან ნახსენები. რაც მაჩვენებელია ამ ტომების დიდი პოლიტიკური წონისა და მნიშვნელობისა. ქვეყანა მდიდარიც უნდა ყოფილიყო, რადგან იმავე ჰეროდოტეს ცნობით, როცა სპარსელებს იბერები დაუმარცხებიათ, მხოლოდ იბერიისათვის წლიურ გადასახადად 500 ტალანტი შეუწერიათ, რაც უდრის ერთ მილიონ ოქროს მანეთს — ღირში ქვეყანა ასეთ გადასახადს ვერ აიტანდა.

არანაკლებ საინტერესო ცნობებს იძლევა მეორე ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (430-355 წ.), რომლის გადმოცემით ქართველებს სახლები უმთავრესად ორ-სართულიანი ჰქონიათ და საცხოვრებელი ადგილები გარშემორტყმული ყოფილა ზღუდეებითა და კოშკებით. მცხოვრებნი სთესავენ ხორბალს და აქვთ ვენახები. ჰყოლიათ აგრეთვე ცხენებისა და შინაური საქონლის ჯოგებიც. მაშასადამე, ქართველ ტომებს იმ დროისთვის საკვირველ კულტურულ დონისთვის მიუღწევიათ: ორ-სართულიანნი საცხოვრებელი სახლები. ბაღ-ვენახები, სოფლის მეურნეობა და მეჯოგეობა — ეს არის სუფთათი, დღევანდელი თვალსაზრისისითაც. ეკონომიურად აღორძინებული და კულტურულად დაწინაურებული ქვეყნისა.

† ალ. ცოფაია

(გაგრძელება იქნება)

*) წაკითხული იქმნა ნიუ-იორკის ქართული კოლონიის საჯარო კრებაზე 26 მაისს 1952 წ.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. კვინსში (შეერთებული შტატები) გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე

ექ. გრ. ალშიბაია

„ქართული აზრის“ რედაქცია თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის მეუღლეს ქალბატონ ბაბეს, მის შვილებს და სძიძეებს; ჩვენი რედაქციის ენერგიულ და ნიჭიერ თანამშრომლებს ბ. ბ. ექ. გ. გაბლიანს და ექ. დ. ჩატარას.

რედაქცია.

ქრისტეს აღდგომის სრული ჭეშმარიტება

„ქრისტე აღსდგა“ — ამ სიტყვებით ყოველ წლივ ფრთა-ასხმული სიხარულით და მილოცვით ვეგებებით ერთმანეთს და თვითოეული ჩვენთაგანის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის ადგერს. „ქრისტე აღსდგა“ — ხანდაზმული ქრისტიანული მილოცვა — ჰიმნი სიხარულის და აღსარება ჩვენი რწმენისა. რამდენად ეს აღსარება მნიშვნელოვანია, სჩანს პავლე მოციქულის სიტყვებიდან: „თუ ქრისტეს აღდგომა ნაკლებია, მაშინ ჩვენი ქადაგებაც ზედმეტია, ზედმეტია ჩვენი რწმენაცო.“ მაგრამ როგორ შეიძლება დავიჯეროთ და ვირწმუნოთ ქრისტეს აღდგომა, თუ კი ის ეწინააღმდეგება მთელი ადამიანის ისტორიის და ცოცხალი ბუნების ცდას — რომ ერთხელ გასული ამ ქვეყნიდან არავინ ამ ქვეყნად არ დაბრუნებულა? სანამ ამ კითხვას პირდაპირ და არსებითად პასუხს გავსცემდეთ, მანამ ორიოდე სიტყვა უნდა თქვას — აღდგომის იდეის შესახებ საზოგადოთ თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნება გვასწავლის: როგორც მსოფლიოს მთლიანობაში, ისე ყოველ მის ნაწილში არსებობს ერთგვარი მტკიცე მიმართება, რომელიც, ერთის მხრივ მსოფლიოს მთლიანობასაც უზრუნველყოფს და მის განვითარებასაც ხელს უწყობს. მოკვდავთა გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს: რომ ეს ქვეყანა არის ქვეყანა შესაძლებლობათა, ის არ არის მზა მზარეულად მოცემული, დამთავრებული, სტატიკური, რომ ის წარმოადგენს შემოქმედებით პროცესს, რომ ის მიწყივ ცვლაებადობაშია, რომელშიაც ყოფის დაბალი ფორმები და საფეხურები გადადიან მაღალ ანუ უფრო სრულყოფილში, რომ არსებობს შიგა და გარე სამყაროთა შორის ურთიერთ ზეგავლენა. სადაც შიგა (სულიერი) იმორჩილებს გარე (ენერგიულს) სამყაროს, ეუფლება მას. სულიერი არსი არ არის მყარი. ის არ წარმოადგენს, მსგავსად მატერიალური არსისა, გარკვეულ, მუდმივ ოდენობას, არამედ მუდმივ ქმნადობაშია — მისი ძალა აღმავალია. ცხოველთა სამეფოში ის დამალულ - პოტენციალურ მდგომარეობაშია; ადამიანთა სამყაროში ის პოტენციიდან ამოდის, ასე ვსთქვათ, თავისუფლდება. მაგრამ ეს განთავისუფლება პირველ ხანებში მიმდინარეობს „იდეალურად“ ცნობიერების ფორმებში. მაგ., მე ვანსხვავებ ჩემს თავს ცხოველურ ბუნებისაგან, შეგნებული მაქვს ზღვარი ამ ორ ბუნების შორის და შეგნებული მაქვს შინაგანი დამოუკიდებლობა და უპირატესობა მისდამი. მაგრამ რაც მთავარია, შეუძლია ასეთ შემეცნებას გადავიდეს „საქმეში“? არა თუ შეუძლია, არამედ ნაწილობრივ კიდეც გადადის.

ცხოველთ შორის ჩვენ ხშირად ვპოულობთ გოხიერების სუსტ გამოკრთომას, ასევე ადამიანში არსებობს ჩანასახები იმ უმაღლესი, სრულქმნილ მდგომარეობისა, როცა სული ნამდვილად, ფაქტიურად იმორჩილებს მატერიალურ ცხოვრებას. ის ებრძვის მატერიალურ ბუნების ბნელ, მავნე მისწრაფებებს, ატყვევებს მას (და არა მხოლოდ განასხვავებს თავის-თავს მათგან). მატერიალური საწყისის უკიდურესი გამარჯვება არის სიკვდილი. — ეს უაზრობის გამარჯვება აზრზე, ქაოსისა კოსმოსზე, ადამიანის სიკვდილი განადგურებაა სრულყოფილი ორგანიზმის ე. ი. უმაღლესი გონიერი სიცოცხლის მიზანშეწონილი ფორმის და იარაღის. ასეთი გამარჯვება დაბალისა მაღალზე, ასეთი განიარაღება სულიერი საწყისის გვაუწყებს მის უღონობას და უძლურებას. მაგრამ მისი ძალა ხომ აღმავალია? ადამიანისათვის უკვდავება იგივე ამბავია, რაც ცხოველისათვის გონიერება. აზრი და მისწრაფება ცხოველთა სამეფოში — გონიერებაა, ე. ი. ადამიანი. აზრი და მისწრაფება ადამიანისა უკვდავება ე. ი. ქრისტე. თუ ბრძოლა ქაოსთან და სიკვდილთან მსოფლიო პროცესის „სულია“, მაშინ ნათელია, რომ ამ პროცესის სულიერმა მხარემ, მართალია კუს ნაბიჯით, თანდათანობით, მაგრამ საბოლოო ანგარიშში უნდა გაიმარჯვოს. მაშ აღდგომა, ე. ი. ნამდვილი და დასრულებული გამარჯვება სიცოცხლისა სიკვდილზე არის აუცილებელი მომენტი ამ პროცესის, რომელიც პრინციპში ამითვე ბოლოვდება.

თუ სასწაულის ცნებას მოვიაზრებთ, როგორც ფაქტს, რომელიც ეწინააღმდეგება მოველენათა და საგანთა საერთო სვლას და ამიტომ შეუძლებელს, მაშინ აღდგომა სრული დაპირისპირებაა სასწაულის — ეს არის ფაქტი უდაოდ აუცილებელი მოვლენათა საერთო მიმდინარეობაში. მხოლოდ თუ ვინმეს მაინც და მაინც ამ ამბის (აღდგომის) მოაზრება სურს, როგორც სასწაულის, პირველად მოვლენილის, არყოფილის, მაშინ აღდგომა ისეთივე სასწაულია, როგორც პირველი ორგანიზული უჯრედის გაჩენა არაორგანიულ სამყაროში. ან პირველი ცხოველის მოვლინება მცენარეთა სამეფოში ან პირველი ადამიანის ცხოველთა შორის. ასეთ სასწაულებში ბუნებისმეტყველებას არ შედის ეჭვი, ამგვარ ეჭვმიტანილ სასწაულად უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის ისტორიისათვის აღდგომა. მაგრამ იბადება საკითხი: განაარსდა თუ არა ის იმ ისტორიული პროცესის სახეში, რომლის აღდგომაზე მოგვითხრობენ სახარებებში?

ჩვენი ღრმა რწმენა გვავალებს ამ კითხვაზე გავსცეთ დადებითი პასუხი. და აი ის მოსაზრებანი, რომელნიც ამ რწმენას სიმაგრეს და ცხოველმყოფლობას ანიჭებენ.

სიკვდილზე გამარჯვება აუცილებელი ბუნებრივი შედეგია შინაგანი სრულქმნილების. ქრისტეში სულიერმა საწყისმა ითავა ძალა თავის „დაბალ“ ფსიქო-ფიზიკურ ბუნებაზე ამაღლებულიყო, საბოლოოდ მიაღწია სრულყოფას, სავსეობას, დაიმორჩილა სხეული. გარდაქმნა ის და შემდეგ „განასულიერა“. ჩვენ არაევთარი უფლება არა გვაქვს არ დაუჯეროთ მომსწრეებს, მოწმეებს, მნახველთ, მოყვარეთ და მტერთ ამ უშველებელი ამბავის.— შეშფოთებულნი, შეშინებულნი მოგვითხრობენ ამ მოულოდნელ და შეუძლებელ მოვლენაზე. ეს დამიანი აღსდგა. მათ საცნაურყოფაში ეს ამბავი აისახა, როგორც ემპირიული ფაქტი. მაშინ როდესაც ჩვენთვის მას აქვს შინაგანი ლოგიური კავშირის მნიშვნელობა. ინტელექტუალურ სინდის მოკლებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ ცოცხალ მოწმეებს, განსაკუთრებით ქრისტეს მოციქულებს, ბრალი დასდოს ამ ამბის მოგონებაში, ამბავის, რომლის მთელი აზრი და შინაარსი მათთვის არ იყო გასაგები და ნათელი. ქრისტეს აღდგომის — ამ ფაქტის გარეშე წარმოუდგენელია მოციქულთა არარეალურობავი, თვალშეუდგამი ენტუზიაზმი. მათი ქადაგება არ ყოფილა ადვილი და სასიამოვნო. ვეებერთელა რომის იმპერიის კულტურული და ფიზიკური ძალა იყო მათ წინააღმდეგ. ყველგან ზიზღი, ყველგან სიძულვილი, ყველგან დევნა — მიუხედავად რიცხვეფად დაბრკოლებისა და მუქარისა, მოციქულნი ქედს არ იხრიან უშიშრად (რაც მთავარია: შიშის გრძნობა არ არსებობდა მათთვის) ზეადამიანური აღფრთოვანებით განაგრძობდნენ ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას — შეურყეველად, აბსოლუტურად დარწმუნებული ქრისტეს ადგომის სიმართლეში. მოციქულთა ასეთი იქვმეუტანელი რწმენა იხსნება, სწორედ მით, რომ მათ საკუთარი ყურებით და თვალებით დარწმუნდნენ ქრისტეს ჭეშმარიტად აღდგომაში. და ბოლოს მთელი მათი მოწამებრივი ცხოვრება, — ყველამ, გარდა ერთისა, იოანესი, გაატარეს ტანჯვაცსა და წამების ქუჩაში, თავიანი ჩვენი საბუთი — სიყალბისათვის, სიცრუისათვის არავინ თავის თავს არ გასწირავს, არავინ თავის თავს სასიკვდილოდ არ დასდებს. შეუძლებელია, წარმოუდგენელია სიცრუის თუ სიყალბის სუბლიმაცია — პლატონი გვეტყოდა „ანაგოგეს“, ე. ი. შეუძლებელია სიცრუემ და ბოროტმოქმედებამ სულიერად აგვაყალოს, გაგვაკეთილშობილოს, შეშინებული გონება გაგვიმაგროს, გაუღვიძებელი გრძნობა გაგვიღვიძოს.

ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებაში აბსოლიტუტომა დარწმუნებამ მოციქულნი სულიერად აღამაღლა. სულიერად გარდაქმნა. ბეჯითად. დაუღალავად თვითნი სიცოცხლის დაუზოგველობით, მათ მოიარეს მთელი მაშინდელი „მსოფლიო“ და მოაზრებულად, სიყვარულით ახალი ძალები ჩაასხურეს ადამიანის სულში და გულში, ამხილეს და გამოამეღვნეს ადამიანის სულიერი ცხოვრების

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დაპყრობის გამართლება

გასული წლის (1956) 24 სექტემბერს შესრულდა 155 წელი რაც საქართველოს ანექსია (1801 წ.) გამოაცხადა რუსეთის იმპერატორმა პაველ პირველმა. ამას ქართველი კომუნისტები „ნებაყოფლობით შეერთებას“ უწოდებენ და ამ დღეს საგანგებოთ აღნიშნავენ პრესაში ვრცელი წერილებით და საჯარო მოხსენებებით. ამ აკტს სთვლიან „დიდად მეგობრობად“, რამაც საქართველო „სამუდამოთ მოძმე დიდ რუსის ხალხს დაუკავშირა.“

ჯერ ერთი, საქართველო არას დროს თავინ ნებით რუსეთს არ შეერთებია; ამას მოწმობს მთელი რიგი აჯანყებათა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში რუსეთის მფლობელობის დამყარების შემდეგ. ქართველი ერი არ შეურიგდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის საოკუპაციო მართველობას. ასევე მთელი რიგი ისტორიული საბუთებისა და მათ შორის თვით მეფე ერეკლეს 1783 წლის ტრაქტატი ამის წინააღმდეგ ლაღადებს.

მართალია მხოლოდ ის, რომ მეფე ერეკლემ რუსეთის მფარველობა მიიღო და საამისო ხელშეკრულება დაიდო ორ მხარეთა შორის. ახლა გაგვიგ ივნწყებენ, რომ ეს ხელშეკრულება განსაზღვრულ უფლებრივ ურთიერთობას ამყარებდა ორ სახელმწიფოთთა შორის, რაც სავსებით აკმაყოფილებდა საერთაშორისო სამართლის ძირითად მოთხოვნილებებს.

ერეკლე მეფე ნებაყოფლობით ხელს აღებდა სუვერენიტეტის ზოგიერთ პრეროგატივზე, ხოლო შინაურ საქმეებში ის ინარჩუნებდა სრულს დამოუკიდებლობას, სამაგიეროდ რუსეთს უნდა დაეცვა სამეფოს ტერიტორიის მთლიანობა გარეშე მტრების შემოსევისაგან, შინაური წესწყობილება უცვლელი უნდა ყოფილიყო, ჯარი და მმართველობა ქართული უნდა დარჩენილიყო, ტახტის მემკვიდრეობა უნდა გადასულიყო ბაგრატიონთა გვარეულობაზე, რუსეთი შინაურ საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო, ქართული ეკლესია ავტოკეფალური რჩებოდა. საგარეო პოლიტიკაში საქართველო თავის ეროვნულ ინტერესებს საერთო რუსეთის ინტერესებს უფარდებდა. ურთიერთობის გასაადვილებლად ორივე სახელმწიფოს ერთმანეთთან სრულუფლებიანი ელჩი უნდა დაენიშნათ.

თავის მხრივ საქართველო კისრულობდა თავის ჯარით რუსეთის მტრების წინააღმდეგ დახმარებას. ხელშეკრულება დადებული იყო სამარადისოდ და მისი შეცვლისათვის ორივე მხარის თანხმობა იყო საჭირო.

ამ ხელშეკრულობის შემდეგ დიდი დრო გავიდა. საქართველოს ამ ხნის განმავლობაში კიდევ ბევრი ომი გადაიხადა ეროვნულ თავისუფლების შენარჩუნებისათვის, ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს სიცოცხლეშივე, ხოლო რუსეთმა არც ერთ შემთხვევაში არ შეასრულა ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც სამხედრო დახმარებას გულისხმობდა. პირიქით, საქართველო მოტყუებული და იმედგაცრუებული დარჩა ყოველთვის: დახმარების მაგივრად რუსეთი სიიდუმლოთ საქართველოს მტრებს უწყობდა ხელს, რომ ამ ბრძოლებში დასუსტებულიყო და ამის შედეგად მისი დაპყრობა გაადვილებულიყო. ეს კი მას საშიაღლებას მისცემდა კავკასიაში ფეხი მოედგი და სპარსეთ-ინდოეთისაკენ გზა გაეკაფა.

ბევრი რამ ითქვა, ბევრი რამ დაიწერა ერეკლე მეფის მიერ რუსეთის პროტექტორატის მიღების შესახებ, ალბად კიდევ ბევრი რამე დაიწერება. იყენენ მოწინააღმდეგენი მაშინაც, სექტანტური მიდგომისა. **იმ ეპოქაში ეს იყო ისტორიული აუცილებლობა და მისი აშორება არავის არ შეეძლო.** ორი მოვლენა ამას ხელს უწყობდა: მუსულმანური ბეუწყვეტელი თავდასხმა და საქართველოს აოხრება. მეორეს მხრივ რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები აღმოსავლეთისაკენ. საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა, და რამაც ვერ შეაჩერა მეფე ერეკლეს განზრახვა გადაეწყვიტა საქართველოს ბედი, მიუხედავად ძლიერი იოპოზიციისა, რასაც ასე ენერგიულად აწარმოებდენ რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგენი სოლომ. ლეონიძის მეთაურობით.

რუსეთთან დაახლოების პროცესს აჩქარებდა ჩვენი მუსულმან მეზობლების მუდმივი აგრესიული პოლიტიკის წარმოება ჩვენს მიმართ, ჩვენს საზიანოდ, (მაგრამ იმავე დროს თავიანთ თავის საზარალოდ) რამაც საქართველო მიიყვანა რუსეთის იმპერატორების კარებამდის. მათაც ეს გამოიყენეს და სარწმუნოებრივ ნიადაგზე აქეზებდნენ მოსკოვში მყოფ ქართველ მრავალრიცხოვან ემიგრაციას დახმარება და მფარველობა ეთხოვათ რუსეთისაგან. ასევე საქართველოშიც ზშირად მოდაოდენ რუსეთის დესპანები მეჩვიდმეტე საუკუნედან მოყოლებული და ისინიც მოხერხებულად ეწევოდენ სარწმუნოებრივ საფუძველზე რუსეთის ორიენტაციის პრაპაგანდას ქართველ მეფეთა შორის.

ეს ორი მოვლენა — მუსულმანების აგრესიული პოლიტიკა და რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები აღმოსავლეთში, — ერთმანეთს დაემთხვა, და საქართველოს მომწყვდეულს მათ შუა, უნდა აერჩია, ან ფიზიკური განადგურება მუსულმანებისაგან, ან მის საზღვართან მოახლოებულ რუსეთისაგან დაპყრობა, მეფე ერეკლესათვის , რომელიც კარგად იცნობდა ერთისაც და მეორესაც, ერთი გზა იყო დარჩენილი; ნებაყოფლობით რუსეთის მფარველობის მიღება, მტკიცედ დაყრდნობილ იურიდიულ საფუძველზე და ამით აეშორება როგორც ფიზიკური განადგურება, ისე დაპყრობა და საქართველოს ეროვნული, დამოუკიდებელი თვითარსებობა მომავლისთვის უზრუნველეყო. *)

*) მომდევნო ისტორიულმა მოვლენებმა თუ არ გაამართლა მისი იმედები, ეს სულ სხვა საკითხია. ერეკლე მეფის კეთილი განზრახვა თუ სასურველად არ დაბოოლოდა და მას მოყვა საქართველოს დაპყრობა, ეს მის დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს. სპარსეთ-თურქეთის მუდმივი საფრთხე საქართველოს საბოლოოდ ააშორა, ხოლო რუსეთის ორიენტაციაში მოსტყუედა, და ის როგორც ქართული სიბრძნე ამბობს: — ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო, — მის უნებურად უარეს ხიფათს გადაეკიდა.

ქრისტეს აღდგომის სრული ჰეშმარიტება

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

იქამდე უცნობი ძალები და ღირსება, პატივი დასდვეს ადამიანს და მის პიროვნებას. დღეს ეს პატივი და ღირსება გათელილია, ჯვარცმულია. ყალყზე დამდგარი ბოროტება მთელი თავისი ძალ-ღონით თარეშობს, მაგრამ მისი ძალა ზედაპირულია, გარეგნულია, მეტაფიზიკურ სიღრმეებში მას უკვე ლახვარი აქვს ჩაცემული ე. ი. იდეურად და მორალურად ის დამარცხებულია.

მაგრამ ჯერ კიდევ ბნელა; იუდა ჯერ კიდევ განაგრძობს თავის მზაკვრულ, მოღალატურ საქმიანობას; აქა იქ ჯერ კიდევ გაისმის „ჯვარს აცვ. ჯვარს აცვ ესაო“; განდგომილი პეტრეები და ურწმუნო თომებიც მრავალია; ჯარის კაცები იცავენ და უთვალთვალებენ საფლავს; მაგრამ სადაც არის ისინი დაეცემიან, ლოდი დაიძვრება ადგილიდან და სინათლე განანათლებს კაცობრიობას, ამ „მცირე“ აღდგომით. რასაკვირველია არ არის ზღვრულად ბული ადამიანობის საკალი გზა, მისი საფეხურები უბოლად ტატნობისაკენ მიეშურებიან, მაგრამ მისი („მცირე“ აღდგომის) განაარსება მაინც მეტად „საჭიროა“ და აუცილებელი. ჩვენ გვჯერა, რომ სინათლეს ბნელი ვერ ეწევა. სინთლეს ბნელი ვერა სძლევს, მაგრამ სინათლის გამარჯვება ჩვენს ნებისყოფაზედაც არის დამოკიდებული. გაგვიმაგრე ის. უფალო იესო ქრისტე...

შ. კალანდაძე

18 ბრიუმერის სილუეტები

საბჭოთა ოლიგარხიის ოლიმპზე თავჩენილი ბრძოლა რომ სტალინის მემკვიდრეობას უმიზნებს და არა ტირანის გვამის განგვირგვინებით საქვეყნოთ გაბახებულ სისტემის რამე „შეკეთებას“ თუ გინდ მის ოდნავ ლიბერალიზაციის მიმართულებით, დღეს არაგისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა ეს ბრძოლა უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც გაბატონებული კომპარტიის დამსუსტებელი ფაქტორი, რის შედეგად მეორე ძალის ასპარეზზე გამოსვლა უნდა ჩაითვალოს.

მკითხველი მოგიხვდა უთუოდ თუ რომელ ძალას ვგულისხმობთ მით უფრო ,რომ ის არა თუ ჰორიზონტზე მოსჩანს, არამედ მან უკვე შეაღწია ამ დრომდე პარტიულ ბიუროკრატიის მონოპოლიურ პრივილეგიად აღიარებული პოლიტიკური ბატონობის ბასტიონი და საბჭოთა სახელმწიფო მმართველობაში მნიშვნელოვან პოზიციებს დაეპატრონა.

საქართველო და ამერიკა

(დასასრული. იხ № 15.)

ალექსანდრე პირველმა ეს გეგმა შეიმუშავა, როდესაც ნაპოლეონის წაქცევის შემდეგ, თავი ევროპის ბატონად წარმოიდგინა და ერთმა გერმანელმა ქალმა დაარწმუნა, რომ ის არის მხსნელი ინგლელობ, კაცობრიობის გადასარჩენად მოვლენილი. ეს გადარჩენა გულისხმობდა პოლიტიკური რევოლუციების აღკვეთას, რომელიც უხვად ხდებოდნენ იმ დროს მთელი მსოფლიოს სივრცეზე. რუსეთის იმპერატორმა იანგარიშა, რომ მან უკვე იხსნა ევროპა და ეხლა საჭიროა სხვა კონტინენტების ხსნა. მან საფრანგეთი გიიხადა მოკავშირედ ამ თავის ახალ გეგმებში. საფრანგეთს უნდა აღედგინა ისპანიის ტახტზე ფერნანდო მეშვიდე. ამის შემდეგ ისპანიისათვის უნდა დაებრუნებინათ ამერიკის კოლონიები, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამის საფასოდ საფრანგეთს უნდა მიეღო მექსიკა, ხოლო რუსეთი კმაყოფილებოდაო, რასაკვირველია დროებით, კალიფორნიით, რომელიც იმ ხანად არ შედიოდა ჩრდილო ამერიკის შტატებში. ეს ქვეყანა ათას ორასი კილომეტრის სიგრძეზე არის გადაჭიმული წყნარი ოკეანეს ნაპირზე და ზომით თითქმის საფრანგეთისოდენაა. ამ სანაპიროდან, კანადის სანაპირო, შემდეგ კუნძულები და ციმბირი... ასეთი გეგმა ჰქონდათ იმპერატორ ალექსანდრეს და არაკჩეევს, ციმბირიდან ამერიკაზე ხელის დადებისა. ფრანგებმა, მართალია, დაიკავეს მადრიდი და ფერნანდო მეშვიდე ტახტზე აიყვანეს, მაგრამ ეს ამერიკული გეგმა უფრო შორს ვერ წვავდა, რადგან მან გამოიწვია ამერიკის შტატების შესაფერისი პასუხი და მალე ალექსანდრე პირველიც გარდაიცვალა.

ამ გეგმის საპასუხოთ შემუშავდა 1823 წ. ამერიკული დოკტრინა, მონროეს დოკტრინათ წოდებული. რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა ამერიკის პოლიტიკის საფუძველს. პრეზიდენტმა მონროემ ის ინგლისთან შეთანხმებით შეიმუშავა. ინგლისი რასაკვირველია არ იყო კმაყოფილი, რომ ნაპოლეონის ადგილს ევროპაში ალექსანდრე პირველი იჭერდა, (ეს იგივე ჰიტლერის და სტალინის ამბავია) ასევე არ მოსწონდა მას ალექსანდრეს განზრახვები ამერიკულ კონტინენტის მიმართ.

პეტრე დიდისა და ეკატერინეს შემდეგ სტალინმა, არც ალექსანდრე პირველი დაიგიწყა და არც მისი გეგმა. მან მოინდომა მისი გამოყენება აფრიკის და ამერიკის მიმართულებით. ამ ქვეყნებში იმანაც გზის გამკაფავად საფრანგეთი და ისპანია აირჩია. მან მოახერხა და საფრანგეთი სახალო ფრონტის ქვეშ დააყენა. კომუნისტების, სოციალისტების და რადიკალ-დემოკრატების კავშირს უნდა ჩაეგდო ხელში საფრანგეთი და ისპანია. მაგრამ საფრანგეთის „ფრონ პოპულერმა“ ვერ აზოდა ასეთი ტვირთი. მისი დახმარება ისპანელ კომუნისტებისა და სოციალისტებისათვის, თვით მოსკოვის დახმარების მიმატებითაც, არ აღმოჩნდა საკმარისი და გენ. ფრანკომ ეს ძალები გაანავა. ჩრდილო ამერიკის მეთაურებმა, უთუოდ იცნეს, იმ ხანად, წეთელ სამსოლში გაბვეულ რევოლუციონურ აქციაში ძველი, ალექსანდრე პირველისა და არაკჩეევის შვილ ზრახებები. მოსკოვმა ვერ გიიხადა თავის იარაღად საფრანგეთი და ისპანია, ხოლო ამ ქვეყნების კომუნისტური ძალები კი დიდათ გამოადგნენ მს ამერიკის რესპუბლიკებში სამუშაოდ.

პრეზიდენტი ტრუმანის 1947 წლის, 12 მარტის დეკლარაცია, ტრუმანის დოკტრინად წოდებული, იმავე საფუძვლებზეა აშენებული რომელზედაც აშენდა მონროოს დოკტრინა და იმავე მიზეზებით არის გამოწვეული. მაგრამ რასაკვირველია, ერთი საუკუნის მანძილზე დიდად გამოიცვალნენ ამ ორი მხარის, ამერიკისა და რუსეთის, ძალა და შესაძლებლობანი. მონროოს ამერიკა ახლად ფეხ დგმული, სუსტი ახალმწიფო იყო და ცხადია, გოლიათების ჭიდილში ვერ ჩაერეოდა. ევროპაში თუ სხვაგან. მისთვის ისიც დიდი გამბედულება იყო, რომ სხვა სახელმწიფოებს უკრძალავდა ამერიკის საქმეებში ჩარევას. ეხლანდელი ამერიკის ძალა და შესაძლებლობა, რასაკვირველია შეუდარებელივ დიდია. ასევე გაცილებით მეტი ძალა და გაკვნება აქვს დღევანდელ ბოლშევიკურ იმპერიას, ალექსანდრე პირველის იმპერიასთან შედარებით. მისი აგრესია არ უმიზნებს მხოლოდ კალიფორნიას, არამედ ემუქრება ამერიკის შტატებს მთლიანად და აგრეთვე ყველა მათ ინტერესებს მთელი მსოფლიოს სივრცეზე. მონროოს დოკტრინა, ამერიკის სანაპიროებზე დადგმული ჯებირები, ველარ უპასუხებენ ამ ახალს, მთელი მსოფლიოს სივრცეზე გაშლილ საშიშროებას. ტრუმანმა გააფართოოვა მონროოს დოკტრინა და გაანაცხადა, რომ ამერიკა წინააღმდეგობას გაუწევს ბოლშევიკური მოსკოვის აგრესიას ყველ, გან, სადაც ის გამომეღავნდებაო. ბოლშევიკურ უნივერსალურ აგრესიას ეს დოკტრინა, უნივერსალურ თავდაცვას და უნივერსალურ პოზიციას უპირდაპირებს. რასაკვირველია ასეთი ზომის მილიტარული ორგანიზაცია სწრაფად ვერ აშენდება. მაგრამ მისი განხორციელება რომ შესაძლებელია და არც დიდ დროს წაიღებს, ამას ამტკიცებს კორეაში ომის წარმოება გაერთიანებული ერების სახელით, ინდო-ჩინეთის დახმარება, ატლანტიკის პაქტის წევრების ჩქარი ტემპით შეიარაღება, მთელი მსოფლიოს მოფენა აეროდრომებითია და სხვა სამხედრო ბაზებით და სხვა. როგორც მონროეს დოკტრინა, ისე ატლანტიკის ქარტია, გაერთიანებული ერების პაკტი და ორგანიზაცია ამერიკამ შეიმუშავა და დაფფუძნა ინგლისის უახლოესი თანამშრომლობით. სხვა ქვეყნებიც, გარდა ბოლშევიკური რუსეთისა და მისი სატელიტებისა, მას მიჰყვებიან, მხარს უჭერენ. მსოფლიო დემოკრატიის დაბნეულობას და დამბლა დაცემულობას ბოლო ეღება. გაერთიანებული ერები დიდად ბაკილდა მისი წინამორბედის, ერთა ლიგის გაკნებას. ის ძალა-მოსილ ორგანიზაციად იქცა, ეს ღვიძლი შვილი ინტეგრალური პაციფიზმისა და ანტი მილიტარიზმის, დამოკრატიული ქვეყნების მილიტარულად გაძლიერებისათვის მუშაობს და საჭიროების დროს თვითონაც მილიტარულ ომს აწარმოებს.

დამბლა დაცემულ მსოფლიო დემოკრატიის ასეთი მოულოდნელი გაღვიძებისა და ამოქმედების უმთავრესი მიზეზია, რომ მას გამოუჩნდა გამღვიძებელი და ამამოქმედებელი, დამხმარე და მეთაური. რასაკვირველია ადვილი არ იყო ძველი სახელმწიფოებისათვის, რომელნიც სხვა და სხვა დროს მთელი მსოფლიო პოლიტიკის მეთაურებად ითვლებოდნენ, ამ ახალი „პოლიტიკურად ჯერ დაუმწიფებელი“ ამერიკის მეთაურობის ცნობა. ამერიკაზე საყოველთაოდ ისეთი აზრი იყო, რომ პოლიტიკაში გულუბრყვილო ბავშვები არიან, რომ მათ დოლარი კერპად აქვთ დასახული და მანქანა ბატონად. სინამდვილეშ სრულიად გაამაოთილა ასეთი დაფასება. ამერიკული ქველმოქმედება, მართალია, წინეთაც იყო სახელგანოქმული, მაგრამ ეს იყო პიროვნული ქველმოქმედება. ამ უკანასკნელი ომების ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიგონოთ ამ ახალი ძალის წარსულის ზოგიერთი საგულისხმო მომენტები.

წითელი არმია შეიქმნა სამოქალაქო ომის პროცესში ტროცკის ინიციატივით და მეთაურობით, თეთრი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. მის სამსახურში ასი ათასობით კომუნისტური ლოზუნგებით გატაცებული ჯარის კაცები შევიდნენ, მაგრამ მას ოფიცრობის სახით აკლდა სანდო ხელმძღვანელობა, ვინაიდან არ არსებობდა არავითარი გარანტია, რომ მეფის ყოფილი ოფიცრები ერთ მშვენიერ დღეს იარაღს ცრუ მოციქულების წინააღმდეგ არ მოაბრუნებდნენ. ტროცკიმ აქ ერთ გამოსასავალს მიაგნო: არა სანდო სარდლობას კომუნისტური პლატფორუკები მიუჩინა და ამ-ით ის პარტიული კონტროლის ქვეშ დააყენა. გასაგებია, ასეთი სახის უნდობლობამ ჯარსა და პარტიას შორის შეიღება და უკმაყოფილება წარმოშვა. ეს საბჭოთა კომუნიზმის სიცრუის მოღალადე ღონისძიება, ამა თუ იმ გარეგნულ ცვლილებადობით, დღემდისაც გრძელდება და, უეჭველია, როგორც იმპერატიული აუცილებლობა, გაგრძელდება იქამდე, სანამ წითელი არმია იარსებებს. ამ უნდობლობის შედეგი იყო ის გარემოება, რომ ამ ახლო წარსულამდე, არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობა ეპყრა არა სამხედრო პირს, არამედ პარტიულ კომუნისტს. მართალია, 1947 წლიდან სტალინმა სამხედრო უწყება ჯერ მარშალ ბულგანინს ჩააბარა, შემდეგ მარშალ ვასილევსკის და ბოლოს ისევ ბულგანინს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს მარშლები ფანატიკური კომუნისტებია და აქ საშიში არაფერი იყო, მაინც არმიის უზენაესი ხელმძღვანელობა სტალინს ხელიდან არასოდეს არ გაუშვია.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიფრთხილე არ იყო საფუძველს მოკლებული. თვით კომუნისტური წრეებშიც კი არ არსებობს ორი აზრი იმის შესახებ: რომ ტროცკი სამხედრო პირი ყოფილიყო, სტალინის ხანას ადგილი არ ექნებოდაო. არც ის არის საეჭვოლო, რომ ტუხაჩევსკის ლიკვიდაციის დროს საბჭოთა რეჟიმი ბეწვზე გადაურჩა წითელი არმიის შორის ძიებას. ბოლოს სწორედ ამ ფეთიანობის შედეგი იყო მეორე მსოფლიო ომში დამსახურებული მარშლების: ჟუკოვის, სოკოლოვსკის და კონევეის მაღალი თანამდებობიდან მოხსნა და მდარე პოსტებზე მიელინება.

ასეთ მდგომარეობას ერთბაშად ბოლოს უღებს სტალინის სიკვდილი. არმია წინა რიგებში იწყებს წამოწევას. რაც უნდა იყოს, მარშალი ვორონშილოვი საბჭოთა კავშირის თუ გინდ ნომინალური, მაგრამ მაინც პრეზიდენტი ხდება. მარშალი ბულგანინი — დამოუკიდებელი სამხედრო მინისტრი. მარშლები ჟუკოვი და ვასილევსკი — ვიცე მინისტრები. აი, ამ კომბინაციის ნაყოფი იყო ბერიას ლიკვიდაციის საქმეში, რომ პარტიას არმია მოეხმარა. ეს იყო წითელი არმიის პირველი მნიშვნელოვანი როლის გამომეღავნება ქვეყნის მმართველობაში. რის გაზრდა-განვითარება გასული წლის თებერვალშიმოხდა.

თებერვლის აქტი უტაუუარი დადასტურება იყო იმ კლასიკური დებულების, რომ კოლექტიური დიკტატურა სამუდამო არ არის და ის მხოლოდ ნამდვილი დიკტატურის დროებითი იმპროვიზაციას წარმოადგენს. ხრუშჩოვის ინიციატივით ჩატარებული ახალი ყდანნივისებური კრება, როგორიც არის სამხედრო ინდუსტრიის წინ დაყენება და უმიწაწყლო აგრალუს პროლეტარიატის შექმნით სოფლის მეურნეობის დეტალურ ინდუსტრიალიზაცია, სწორედ ამ ფარულ ტენდენციას ამხელს. ამით მან მძიმე ინდუსტრიის დამსახურებული სპეცის ბუღანანის გული მოიგო და, დროებით მაინც ამ ღონისძიებაში არმიის მხარის დაჭერაც უზრუნველჰყო.

რა თქმა უნდა, არმიას ეს ხრუშჩოვის სიმატეთით არ ჩაუდენია. მას ის ისევე სძულს, როგორც მის მიერ ნახელმძღვანეები პარტია. არა, მან გასამრჯელო მიიღო, ერთის ნაცვლად ორი: სამხედრო ინდუსტრიის პრიორიტეტი და... და სამხედრო სამინისტრო, რომლის მეთაური მარშალი ჟუკოვი გახდა. მართალია, პარტიული კომუნისტი, ფრომლისოდ ის მარშალი ვერ გახდებოდა, მაგრამ არმიის დიდი ნდობით მოსილი რუსი პატრიოტი.

ამ რიგად დღეს საბჭოთა უმაღლესი გამგებლობის სპეკ ფაქტიურად ხელთ უპყრიათ ოთხ მარშალს (ვორონშილოვი, ბულგანინი, ჟუკოვი და ვასილევსკი) და ერთ არა სამხედრო პირს, ხრუშჩოვს. ამათში ჟუკოვი არმიის მეთაურია, ხრუშჩოვი კი პერტიის.

ვფიქრობთ, აქედან მისახვედრია იმ ფასის სიდიდე რაც ხრუშჩოვმა ჯერ ბერიას მოსპობის შემდეგ მალენკოვის გადაყენების და ამ უკანასკნელის ეკონომიურ კონცეპციის შეტრიალების საქმეში არმიის მობრძოლისათვის გაიღო. ამის პირველი უხვი ნაყოფი მან უკვე ამ ახლო წარსულში იგემა. დღეს უკვე საკმაოდ ცნობილია, რომ სუეკის კონფლიქტის დროს ინგლის-საფრანგეთის მიმართ ნუკლეარული იარაღით დამუქრება, სამხედრო ავიაციის ახლო აღმოსავლეთისათვის მოწოდება, ეგვიპტისათვის „მოხალისეებით" დახმარების დაპირება და უნგრეთის სახალხო რევოლუციის ვერაგულად სისხლის მორეცვნი ამოხრჩობა, მოხდა არა „მშვიდობიან თანაცხოვრების" მოქადაგე ხრუშჩოვის, არამედ მადშალ ჟუკოვის მუშტის კარნახით.

თუ ერთ დღეს საბჭოთა მმართველობაში აგრე ღრმად შეჭრილი წითელი არმია და მისი მეთაური ჟ უ კ ო ვ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო მინისტრის სავარძელით აღარ დაკმაყოფილდა და მოპოვებული პრივილეგიების გაფართოება მოისურვა, ცხადია, ხიფათი დიდია და ძალთა განწყობილების მიხედვით ხრუშჩოვების შანსი ნაკლებია.. ასეთი შესაძლებლობისათვის ნიადაგი საკმაოდ მომზადებულია და ამიტომაც სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ისტორიამ 1956 წლის თებერვალი საბჭოთა გაბრუებულ რევოლუციის ბონაპარტისტულ პერიოდის დასაწყის დატად აღნიშნოს.

თუ რა ფორმის და შინაარსის შეიძლება იქნეს რუსული სამხედრო დიკტატურა. ამის პროტოტიპები ისტორიას არა ერთხელ მოუცია და პირობების მიერ ნაკარნახევ ზოგიერთ კორეგტივების გამოკლებით, რაიმე ახალს აქაც არ უნდა მოველოდეთ. ცხადია ის ვერ აცდება საბჭოთა ტირანიის მიერ ნაანდერძევ ზოგიერთ პოლიტიკურ თუ ეკონომიურ არატხებს შეშვებაზე ზრუნვას, მაგრამ ის საკაპიტულიაციო ვერ იქნება და დიდი მყრობელურ ტენდენციას ისევე უერთგულებს, როგორც სხვა ყოველი ჯუნის რუსული ხელისუფლება. ამის მიხედვით საბჭოთა საპყრობილეში გამომწყვდიულ ერებს არაფერი საბუთი არა გვაქვს ჩვენი მომავალი ასეთ ცვლილებებიან გამომდინარე იმედებზე დავამყაროთ.

მიუხედავად ამისა ასეთ შემთხვევაში ერთი რამ არ უნდა დაგავიწყდეს: დღიანდელ საბჭოთა სინამდვილეში სრულიად შეუძლებელია, რათა ასეთი გადატრიალება ზუსტი რეცეპტით ჩატარდეს. მოსკოვში თუ სხვა საგარნიზონო ცენტრებში ძალა-უფლების ჯარის ხელში გადასვლა, „გადატრიალების" დასასრულს არ მოსწავებს. შვიდ მილიონად მკაცრ დისციპლინით ორგანიზებულ კომუნისტურ აპტიკ ენკავედის ყველა ამ ქვეყნურ წყალობით ნაკურთხ კორპუსების დამატებით, დაუდგება არა მხოლოდ ბატონობისა და პრივილეგიების დაკარგვის, არამედ ფიზიკური ყოფნა არ ყოფნის საკითხი. უეჭველია, მის მიერ უხვად ნადენი სისხლი და ჩაღენილი ბოროტება, შურისძიების გრძნობებს აამოძრავებს და ბუნების უცცლელი კანონი მს ან თავდაცვის, ან განადგურების ალტერნატივის წინაშე დააყენებს. ეს კი საკმრისი იქნება იმისთვის, რათა რუსეთის განუზომელი სივრცე სამოქალაქო ომის ქაოსმა მოიცვას, რომლის მოწამე ერთნელ უკვე ვიყვითი.

დაჩაგრული ერები ამის სათანადო მოგონებას არ საჭიროებენ.

ე. რ.

მარქსიზმი-ლენინიზმი-სტალინიზმი

შესავალი.

მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრებამ კაცობრიობას იმოდენა უბედურება დაატეხა თავს, იმდენი სისხლი დაიღვარა და მომავალშიც გვიქადის ისეთ უბედურებას, რომ ყოველი მოაზროვნე ადამიანი ვალდებულია ღრმად ჩაუკვირდეს ამ სამთა მოძღვრებას და თუ ვინმეს კიდევ სჯერა მათი პროგრესიული და განმანათლებელი მისია, გაეცნობა რა მათ თეორიულ დებულებებს და პრაქტიკაში მათ გამოყენებას, განსჭვრეტს რა გონების თვალით მათ მავნებელობას, მაშინ საბოლოოდ უნდა გაიმიჯნოს მისგან.

ქვემო მდებარე შრომა მიზნად ისახავს ამ სამების მოძღვრებათა არსებითი მხარის, შეძლების დაგვარად. ობიექტივობით გარჩევას, მთავარ დებულებათა განხილვას, რათა ნათლად გამომეღავნდეს მათი შეუსაბამობა ცხოვრების მოთხოვნილებებთან.

როგორც ცნობილია, ყოველი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოძღვრება იყოფა ორ უმთავრეს — თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. მაშასადამე, მარქსიზმი-ლენინიზმი-სტალინიზმიც უნდა განხილულ იქნას თანმიმდევრობით. მათი თეორიული და პრაქტიკული გამოვლენით. ამავე დროს, თვით თეორიული ნაწილი მარქსიზმისა უნდა დაიყოს მის წმინდა ეკონომიურ და პოლიტიკურ ნაწილებად. რაც დაუპირდაპირები მარქსის წმინდა ეკონომიურ თეორიას მის პოლიტიკურ დებულებებს, აღმოვაჩენთ მათ შორის ძირითად წინააღმდეგობას. მაგალითად, მარქსის ეკონომიური მოძღვრების მიხედვით სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტური ურთიერთობა უმაღლეს საფეხურზე აგა. რომლის მიმკვიდრე უნდა გახდეს სოციალისტური საზოგადოება. კაპიტალის კონცენტრაცია იღებს უმაღლეს ფორმას, დაგროვილი ქონება თავს იყრის რამოდენიმე კაპიტალისტ მაგნატის ხელში და აი, დგება მომენტი, როცა განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოების საშოდან იშვება ახალი, სოციალისტური საზოგადოება. ასეთია ძირითადი დებულება მარქსის ეკონომიური თეორიისა. მიუხედავად, ერთი შეხედვით, ასეთ მწყობრ და ლოიკური შენობისა, როგორც თვით მარქსს, ისე ენგელსსაც თავიანთ მრავალ პოლიტიკურ ნაწერებში, მანიფესტებში და პროკლამაციებში ჯერ კიდევ 1848 წელს და შემდეგ 1871 წ. პარიზის კომუნის დროს, შესაძლებლად მიაჩნდათ სოციალისტური წყობის დამყარება და მუშათა კლასს მოუწოდებდნენ რევოლიუციური აქციებისაკენ. ეს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ კაპიტალიზმი ნაკლებად იყო განვითარებული, ის ჯერ კიდევ პირველ საფეხურს არ იყო გაცილებული. როგორცეხედავთ, მარქსი მის მიერვე წამოყენებულ ეკონომიურ დებულებასთან წინააღმდეგობაში ემწყვდევა, მაგრამ მარქსს ასეთი წინააღმდეგობანი მრავალი აქვს. ტყუილად კი არ უწოდებენ მას ეკლექტიკას ე. ი. მოაზროვნეს, რომელიც აზროვნების სხვა და სხვა მეთოდებს თვითნებურად აერთებს.

ვიდრე გადავალთ მარქსიზმის ძირითადი დებულებების განხილვაზე, საჭიროა ერთ სადაო საკითხს ვუპასუხოთ, სახელდობრ: წარმოადგენს თუ არა მარქსის, ენგენის და სტალინის მოძღვრება ერთ მთლიან, ჩამოყალიბებულ იდეოლოგიურ მიმართულებას, თუ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

ეეროპული ყაიდის ორტოდოქსალური მარქსისტები იტყვიან, რომ ენენის არაფერი საერთო არა აქვს მარქსთან, მით უმეტეს სტალინს. „წმინდა" ლენინელები დაგვიმტკიცებენ, რომ ამ ორ „ბრძენ" ადამიანს ერთ-ერთ ფილოსოფიურ, ეკონომიურ, ეროვნულ, ეთიკურ, ესთეტიკურ, ენციკლოპედიურ, ფილოლოგიურ, ენციკლოპედიურ, ფილოლოგიურ, ენციკლოპედიურ, ფილოლოგი

ბენ, რომ ლენინი ერთია, სტალინი სხვა. ასეთ მტკიცებაში რამდენიმე ჭეშმარიტების მარცვალია, მხოლოდ რამდენიმეც, ვინაიდან ძნელია წარმოდგენა ლენინისა უმარქსოთ და სტალინისა ულენინოდ. ამ სამებას ძირი, ფესვი ერთი და იგივე აქვთ.

რასაკვირველია, მარქსი რომ ცოცხალი ყოფილიყო და თავისი თვალით ენახა რა სისხლიანი სახე მიიღო მარქსიზმმა ბოლშევიზმის სახით, ის თვით შეებრძოლებოდა მის პრაქტიკას, როგორც აღნიშნა მარქსიზმის საუკეთესო კომენტატორმა კარლ კაუცკიმ, რომელმაც თავის წიგნაკში: „ერთი გლეხურ-სოციალისტური რესპუბლიკა“ (ვენა, 1921 წ.) ასე დაახასიათა ბოლშევიზმ-კომუნიზმი: „რუსეთი უკვე აღარაა პროლეტარული, ის ბონაპარტული სახელმწიფოა. ბოლშევიზმის ბატონობა ნიშნავს ომს, უბედურებას, სიმშილს. მოსკოვის ბონაპარტიზმი რეაქციაა არა მარტო რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის მიმართ, არამედ უფრო მატად სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობის მიმართ. ბოლშევიზმი ხუნდია მუშათა მოძრაობისა.“

სრული ჭეშმარიტებაა კაუცკის დასკვნა, მხოლოდ მიუხედავად ამისა, ობიექტური გარჩევა გვიჩვენებს, რომ მარქსიზმის გადატანა ცხოვრებაში, პრაქტიკაში ბოლშევიზმის მიერ, მისი გაღრმავება ჯერ ლენინის და შემდეგ სტალინის მიერ დაფუძნებულია თვით მარქსის ზოგიერთ მთავარ და ყალბ დებულებებზე, რომელიც საბედისწერო გახდა თვით მუშათა კლასისათვის, რომლის კეთილდღეობისათვის და გაბედნიერებისათვის თითქოს ის იყო გამოგონილი.

ერთი უდაოა: ლენინი ზუსტად და ხელ აღებით ჰბაძავს მარქსს ფრაზებში, გამოთქმებში და სიტყვებში. მაგალითად მარქსსწირად უყვარდა ხმარება: „გარდაუვალი“, „რკინის კანონები“ და სხვა. რომლითაც სურდა რომელმე მის მიერ წამოყენებული დებულება აეყვანა სამეცნიერო დონეზე. ხოლო სწორეთ ასეთნაირ კატეგორიულ განცხადებებით და დეკლამაციებით ის შორდებოდა ჭეშმარიტ მეცნირებას. მარქსიზმის მეცნიერებაზე ვერნერ ზომბარტი, ნერმანნის გამოჩენილი სოციოლოგი, აი, რას სწერს: „მარქსის მოწინააღმდეგეებმა მოიწადინეს მისი მოძღვრება მეცნიერულად დაერღვიათ, მაგრამ თავიანთი ცდებში, მათ თვით ამოჰყვეს თავი წმინდა მეტაფიზიკურ სფეროში, რომლითაც ხასიათდება თვით მარქსიზმის ისტორიული თეორია, მისი სოციალური ნატურალიზმი, მისი მატერიალისტური გაგება ისტორიისა, მისი ეკონიოლოგიონიზმი. ხომ ცხადია, რომ კაცობრიობის ისტორია არ შეიძლება იყოს სამეცნიერო ცდების საგანი, როგორც ბუნებრივი, ფიზიკური მოვლენები, რომელნიც ექვემდებარებიან ბუნების კანონებს. პირიქით, კვლევა-ძიება გვიჩვენებს ადამიანის განუყოფელ უნარს თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება და რომ ადამიანები სრულიად თავისუფლად და გონივრულად ჰქმნიან ეკონომიურ-საზოგადოებრივ ურთიერთობას ერთმანერთს შორის. ისტორია გვიჩვენებს, რომ ხშირად არა წმინდა ეკონომიურ-მატერიალური მნტერესები ბატონობდნენ და ამოქმედებდნენ ადამიანებს, არამედ სხვაგვარი: რელიგიური, პოლიტიკური, დინასტიური და სხ., რომელნიც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ისტორიაში“. (იხ. ვერ. ზომბარტი: „გერმანული სოციალიზმი“ გვერდი 142, ბერლინი.)

ზემოდ მოყვანილ წინასწარ შენიშვნების შემდეგ ნებას ვაძლევ ჩემს თავს გადავიდე მარქსის ზოგიერთ მთავარ დებულებების განხილვაზე, რომელიც ასე საბედისწერო გახდა კაცობრიობისათვის და ასეთი დამღუპველი გავლენა იქონიეს დღევანდელ საზოგადოების განვითარებაზე.

მარქსიზმის მთავარ დებულებათა პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი „კლასთა ბრძოლის თეორია“.

დ. საღირაშვილი

(გაგრძელება იქნება)

ბ-ნ გრ. ურატაძის წიგნის გამო

„ქართული აზრი“-ს 13-ტე ნომერში მოთავსებული იყო განცხადება: „რათა ერთხელ და სამოდამოდ აღდგენილ იქმნეს ჭეშმარიტება და მოეცენების სრული და უტუყარი ვითარება თანამედროვეობამ გაიგოს, ამიტომ წინადადებას ვაძლევთ იმ ეპოქის მოღვაწეებს, რომელნიც მძლავრნენი იყვნენ სწორედ ამ საქმიანობას, კამათის სავალდებულო ფორმისა და ზომიერების დაცვით, გამოსთქვან თავისი აზრი“ და სხვა....

ამ განცხადებას მრავალი ქართველი აღუნთია საპოლემიკოდ და რედაქციამ აუარებელი წერილები მიიღო.

საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ტექნიკური მიზეზების გამო, ამ ხასიათის წერილებს დაეთმობა მხოლოდ ორი სვეტი. ხოლო სრულიად არ დაიბეჭდება, თუ არ იქნება დაცული ვამოთქმების ლიტერატურული და პარლამენტარული ფორმა.

ვინაიდან ჩვენი გაზეთის რედაქცია მონდომებულია სინამდვილის აღდგენით და ჩვენი გაზეთი მიგვაჩნია თავისუფალ ტრიბუნად, სადაც ყოველ ქართველს შეუძლიან თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი, ამიტომ ეს ფურცლები დაითმობა, როგორც ბ. ვ. ურატაძეს თემის უარმყოფელებს, ისე დამცველებს.

რედაქცია.

უკანასკნელ ხანებში, საბჭოთა კავშირის ისტორიის და „ულტიერს შესწავლის ინსტიტუტმა (მიუხნენში), გამოაქვეყნა ბ. ვ. ურატაძის შრომა «Образование и Консолидация Грузинской Демократической Республики». სახელწოდებით, რომელსაც არა მარტო ქართული, არამედ უცხო საზოგადოებაც დიდი უურადღებით შეხედა. საუბედუროთ, ავტორი უკვე შრომის შესავალში, არა მარტო ისტორიულ სინამდვილეს, არამედ ქართველ ხალხის ბუნებას და ხასიათსაც ამახინჯებს, რითაც ქართველთა ლტოლვას დამოუკიდებლობისადმი საკამათოთა ხდის.

მისი ცდები, ისტორიის მარქსისტულად გასაშუქებლად, აჯაკავებენ ქართველისათვის დაუშვებელ გულგრილობას, საკუთარ ერის დიდებული წარსულისადმი და მარქსისტისათვის — მარქს-ენგელსის „ცნების“ უაღრესად თავისებურ ინტერპრეტაციას. უპირველესად ყოველსა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს შრომა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკის ისტორიად, რაც სათაურის მიხედვით მოსალოდნელი იყო, ვინაიდან იგი მხოლოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ქართულ სექციის საქმიანობას ეხება.

ჩვენ შორსა ვართ სურვილისაგან, ეს შრომა უსაფუძველოდ გავაკრიტიკოთ, მაგრამ ვერც იმას დაუშვებთ, რომ ჩვენივე ერის გმირული წარსული, უპროტესტოდ დამახინჯებული და შელახული იქმნეს არა მარტო ქართველების, არამედ მსოფლიო საზოგადოების თვალში. ამიტომ ვეკითხებით ბ-ნ გრ. ურატაძეს: **რა საჭიროება მოითხოვდა ამ უაღრესად საკამათო და მრავალ საკითხებში ჩვენი ერის დამამცირებელ შრომის რუსულ ენაზე გამოშვებას?**

უპირველესად ყოველისა ბ-ნ ურატაძის მიერ საქართველოს ისტორიის 1783 წლიდან 1917 წლამდე მონაკვეთის გაშუქების შესახებ! ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ძალით შეყვანილი საქართველო, თავდადებით იბრძვის დაკარგულ დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ დროს ევროპაში, საუკუნეებით არსებული საზოგადოებრივი წესრიგი, შეიოყა და ნგრევა დაიწყო. ადამიანის და ერების განთავისუფლების საქმით გატაცებული ევროპიელი საზოგადოება, ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, აღწევს შესანშნავ გამარჯვებებს. საფრანგეთის დიდი რევოლუცია, იტალიის და ესპანეთის განთავისუფლება და მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ბატონყმობის მოსპობა და შავკანიანთა განთავისუფლება, ბურების გმირული ბრძოლა და სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებელ შტატების კავშირის დაარსება და სხვა. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ არა მარტო პროფესიონალიური რევოლუციონერები და რევოლუციონერი პარტიები, როგორც ეს ბ. ურატაძეს ჰგონია, არამედ პოეტები და მწერლები, მხატვრები და მასწავლებლები, ექიმები და მშენებლები ე. ი. ხალხის მოწინავე შვილები. ამ ბრძოლის მამოძრავებელი ძალა იყო ხალხი, რომელიც აღსდგა ჩაგვრის წინააღმდეგ პირადი და ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად. საუბედუროდ, რუსეთის იმპერიის შეიარაღებულმა ძალებმა სისხლში ჩაახრჩეს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ რიგ ევროპიელ ერების ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლები, სახელდობრ: პოლონეთში, უნგრეთში, ფინეთში, კავკასიაში და სხვაგანაც, რის გამოც „ევროპის ჟანდარმის“ სახელი მოიხვეჭეს.

აი, ამ 140 წლიან მონაკვეთის, მდიდარს ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებით, რომელშიაც სცხოვრობდნენ და იბრძოდნენ სამშობლოსა და ერის საკეთილდღეოდ ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ მეფე, ორბელიანები, ჭავჭავაძეები, ბარათაშვილი, ს. დოდაშვილი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ა. წერეთელი, კლდიაშვილი და მრავალი სხვანი. ქართველმა ხალხმა საკუთარი სისხლით ჩასწერა ერის ისტორიაში, ეროვნულ დამოუკიდებლობისადმი სიყვარულის წაუშლელი ფურცლები. აი, ამ პერიოდს ბ. ურატაძე უთმობს თავის შრომაში სრულ 26 სტრიქონს და უაღრესად საყურადღებო განცხადებას აკეთებს, რომ „მოძრაობა დაწყებული კულტურულ და საზოგადოებრივ ნიადაგზე, გადაიქცა 19-საუკუნის დამლევს ძძლავრ რევოლუციურ ნაკადად, რომლის ხელმძღვანელობაში ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია მენშეკებისა ჩადგა.“

ბ. ურატაძე არა სთელის საჭიროდ, რამოდენიმე სიტყვით მაინც აღნიშნოს, მისი პარტიის წინამორბედი პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც საქართველოს ისტორიაში პირველი და მეორე დასის სახელწოდებით შეეიდნენ, და რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მე-19-20-ე საუკუნეთა განმანთავისუფლებელ ბრძოლას საქართველოში. მისი აზრით, რამოდენიმე სისხლიანი აჯანყება, რომელთა დამარცხების შემდეგ, ათიათასობით ქართველი მამლილიშვილები იყვნენ გადასახლებულები შორეულ რუსეთში. „...კულტურულ და საზოგადოებრივ“ ხასიათს ატარებდა, და მხოლოდ „მარქსის ცნენი“ განაალებულ ქართველ მენშევიკებმა გადაამეტეს ეს „კულტურული“ მოძრაობა, „მძლავრ რევოლუციურ ნაკადად“. ამ „რევოლუციური ნაკადის“ სიმძლავრეს შესანიშნავად ახასიათებს თვითონ ბ-ნი ურატაძე თავისი შრომის მე-16-ე გვერდზე. რომელზედაც იგი სწერს, რომ რევოლუციის დაწყებისთანავე, მეფის მოადგილემ კავკასიაში, დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, თბილისის ქალაქის თავის ხატისოვის პირით, დაიბარა მაშინ თბილისში არალეგალურად მცხოვრები ბ-ნი ნ. ჟორდანია და უარი სთქვა რა ძალა უფლებაზე — განაცხადა, რომ მისი აზრით სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც ყველაზე ძლიერი და გავლენიანი, არ დაუშვებს არავითარ ექსცესებს და შესძლებს საჭირო წესრიგის დაცვასო. მართლა და არარეალურებრივი სიმძლავრის „რევოლუციური ნაკადი“, რომლის შედეგად, თურმე ამიერკავკასიაში რევოლუციაც კი არ მომხდარა, არამედ მეფის მოადგილე ნებაყოფლობით აბარებს ძალაუფლებას ქერთველ სოციალ-დემოკრატებს! დიდი მთავრის მიერ ასეთი არარეალურებრივი ნდობა სოციალ-დემოკრატებისადმი, ყოველი ობიექტური მკვლევარის თვალში უაღრესად საეჭვო და ქართველ მენშევიკების „რევოლუციონერობის“ შემლახველი ფაქტია.

დაახლოვებით ამავე პერიოდის შუაში 1848-1875 წლებში ევროპაში ვრცელდება ბაძანეგელსის ე. წ. „მეცნიერული სოციალიზმის“ ცნენა, რომელიც ადამიანთა შორის იქამდე არსებულ სოციალურ ურთიერთობის სრულიად ახალ ნიადაგზე აყენებს. ამ „ცნენის“ მიხედვით კაცობრიობა თავის განვითარების ახალ საფეხურზე შესდგა, რომელსაც არა ეროვნულ ან სოციალურ მოთხოვნილებებისათვის ბრძოლა, არამედ კლასობრივი ბრძოლა ახასიათებს. მარქს-ენგელსის „ცნენის“ მიხედვით თვით ერში არსებობს ინტერესთა სხვა და სხვაობა, რომელთა შერიგება შეუძლებელი და რომლებიც დღიდან დღე ძლიერდებიან. ამ ინტერესის მატარებელ ფენებს მათ „კლასები“ დაარქვეს და მათ შორის ბრძოლას კი ე. წ. „კლასთა ბრძოლა“. ამ ცნენის გავრცელებამ დაშალა აქამდე არსებული, ერების შინაგანი მთლიანობა და ადამიანის ერის განთავისუფლების საქმე მეორე და მესამე ხარისხოვან ამოცანად გადააქცია.

გ. ვეფხვაძე

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ყოფა-ცხოვრება

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის მზადება.

1957 წლის შემოდგომაზე სრულდება ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავი. ეს იუბილე აღინიშნება როგორც უდიდესი მოვლენა რეს-პუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. მოეწყო საიუბილეო კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ხელისუფლების, მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა და სხვათა წარმომადგენლები. ოქტომბერში მოეწყობა ოპერის თეატრში საზეიმო საუბილეო საღამო. საუბილეოთ მოწვეულ იქნება ქართველ მწერალთა კავშრის საგანგებო პლენუმი. სამეცნიერო სესიებს გამართავენ მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტები და ენა კულტურული დაწესებულებანი. ხალხმწიფო მუზეუმში გაიმართება ილიასადმი მიძღვნილი გამოფენა. ახლად გამოცემულ იქნება მწერლის თხზულებანი, სხვა და სხვა ენებზე. გამოშვებულ იქნება ფილმი ილიას ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით. აგრეთვე სასწავლო ფილმი ილიას ცხოვრება-მოღვაწეობაზე. მთელ რესპუბლიკაში მოეწყობა ლიტერატურული საღამოები, წარმოდგენები, ლექციები და სხ. მიძღვნილი იუბილეარის მიმართ.

შოთა რუსთაველის იუბილეც ხომ დიდის ამბით გადაიხადეს კომეწინესტებმა. დღეს ილიას დღესასწაულობენ, მიუხედავად იმისა, რომ ილია, როგორც ცნობილია, დაუძინებელი მტერი იყო მარქსიზმისა. კომეწინესტებმა ისიც კარგად იციან თუ როგორ უკვდავია ილიას ხსოვნა ქართველთა გულში. ამიტომ არჩიეს ილიასთან ბრძოლა, მისი გადაბირება. დიალექტურ მატერიალისტურმა აზროვნებამ კომუნისტები შეიძლება უფრო შორს წაიყვანოს.

უმაღლესი ტეხნიკური განათლება საქართველოში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კარგა ხანია რაც გამოეყო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი თავისი შვიდი ფაკულტეტით. აქ ამზადებენ 30 სხვა და სხვა დარგის ინჟინერებს. დღემდე მას გამოუშვია 13.975 სპეციალისტი. ხოლო რკინის გზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტს 7.476 სპეციალისტი. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში ირიცხება 28 პროფესორი და 211 დოცენტი. რკინის გზის ინსტიტუტში 13 პროფესორი და 76 დოცენტი. სასოფლო სამეურნეო მექანიზაციის ფაკულტეტზე 3 პროფესორი და 23 დოცენტი.

სამწუხაროდ, საბჭოთა გაზეთები არ იძლევიან ცნობებს: თუ აღნიშნული კადრებიდან რამდენი იგზავნება რუსეთში და რამდენი რჩება საქართველოში!..

ვეფხის ტყაოსანი გერმანულ ენაზე უთარგმნია პოეტს ჰეგო ჰუპერტს. აღმოსავლეთ გერმანიის კულტურის სამინისტროს მიეცია მისთვის პრემია. დაჯილდოების სიგელში ნათქვამია: „ჰეგო ჰუპერტმა შესძლო თავის ბრწყინვალე ხატოვანი ენის საშუალებით, არა მარტო ტექსტუალური სიზუსტით გადმოეცა ამ დიდი საგმირო პოემის შინაარსი, არამედ მიაღწია იმას, რომ გასაოცარ სისრულით გადმოსცა ამ ნაწარმოების თავისებური ფორმაც, რაც ესოდენ უნეველოა და უცნაურიც კი გერმანული ენისათვის“.

გვინდა გულწრფელად დავიჯეროთ ეს სასიამოვნო ცნობა. მაგრამ ტრაბაზნი დაჩვეულ კომეწინესტებზე კაცს მუდამ ეშვი ეპარება!

კიდევ ვეფხის-ტყაოსანზე. აზიის მწერალთა კონფერენცია მოხდა ინდოეთში, რომელსაც დაესწრო ქართველ მწერალთა თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე. ის მოგვითხრობს შემდეგს: „ ინდოეთის პრეზიდენტთან და ინდოეთის აკადემიის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს გადავეცი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი.“ სამწეხაროდ ამ პოემის შესახებ არაფერი იცოდნენ. მე ვთხოვე მთ კოფეურნეოის მსჯელობის დღეებში, ჩვენი ერ ყოფნის დროს, ეშოვნათ დრო და წაეკითხათ იგი. ის ღამე ინდოელ აკადემიკოს რუსთაველმა თეთრად გაათენებინა. დილით მივიღეთ მისგან უსაზღვრო აღფრთოვანებული წერილი. წერილს თან ჰქონდა „ვეფხისტყაოსანის“ ადგილების თარგმანი ურდუს ენაზე, რომელიც ამ ღამე ნათევ კაცს განთიადისას შეუსრულებია“...

ბარაქალა ინდოელ აკადემიკოსს! ერთ ღამეში „ვეფხისტყაოსანი“ ჩააბულა და ადგილებიც თარგმნა: აი, ამას ჰქვია კომეწინესტური დარტყმა!

ქართული საკრავების ორკესტრს უმოგზაურია საბჭოთა ქვეყნებში, სადაც მაღალი შეფასება დაუმსახურებია. ორკესტრის პარკეტური ერთობ ლამაზია და მისი ტეხნიკური შესაძლებლობანი საკმაოდ მდიდარი. საკრავების საკონცერტო ტიპებია: ჩანგური ბანი, ჩონგური დაბალი ბანი, ფანდური ალდი, ფანდური ტენორი და სხვა.

ენატრულობთ. იქნებ უცხოეთშიდაც იმოგზაუროს ამ უცნაურმა „ორკესტრმა“ და მოგვასმენოს ბეთხოვენის სიმფონიები!..

წყალტუბოს კურორტი, ეს უდიდესი კერა ჯანმრთელობისა, ყოველმხრივ ემზადება, რომ მომავალ ზაფხულს შეხვდეს. მთელ საბჭოთა ქვეყნებიდან ათასობით მოდიან აქ სამკურნალოდ და დასასვენებლად. წელს ყველაფერი მზად არის რომ მიიღონ 60 ათასი საბჭოთა მოქალაქე.

აი, როგორ გაზრდილა პატარა წყალტუბო, რომ 60 ათას სულს იტევს! სანიტტარსოა, რამდენი პროცენტი ქართველებისა ამ რიცხვში, რომლებიც ზაფხულს წყალტუბოში განცხრომით გაატარებენ!

მეთვალყურე

განცხადება

ექვთიმე ენდელაძე, ქსენია ეგნატეს ასული დვალიშვილის თხოვნით, ეძებს მის ძმებს სერგო და გიორგი დვალიშვილს— დაბადებულთ: სერგო — 1919 წ. და გიორგი —1920 წელს ბაღდადის რაიონში.

EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
12-29—120 St. College Point. L. I.
Directeur résponsable
Ch. Kalandadzé
Impr. de Navarre. 11, rue des Cordelières, Paris